მუშის განთავისუფლება
თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს.
ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

მუშა

1 წ.	6 თ.	3 თ.	1 თ.	
მ.	მ. კ.	მ. კ.	მ. კ.	
5	2 50	1 25	— 50	თფილისში.
6	3 —	1 50	— 60	თბილ. გარ.
10	5 —	3 —	1 —	საზღ. გარ.

დაინიშნენ: ფილოსოფოვი სავაჭრო-სამრეწველო მინისტრად, თავადი ვასილჩიკოვი მიწადმოქმედების მთავარ მართველად და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი იზკოლსკი დაინიშნა ობერ-პროკურორად უწმინდესი სინოდისა.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

№ 44 კვირა, 30 ივლისი, 1906 წ. თბილისი № 44

გ ა მ ო ვ ი დ ა

ახალი წიგნი
ძველი და ახალი

არჩილ ჯორჯაძისა.

იყიდება „მუშის“ რედაქციაში და ქართვ შორ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებ.ს მაღაზიაში.

ფასი 25 კაპ.

ახლო-ამწყობების თხოვნით მივმართავთ ყველა კორესპონდენტებს გზავნონ თავიანთი წერილები, მხოლოდ

ერთ გვერდზე

დაწერილი.

მოსალოდნელი ბოლო.

როდესაც რუსეთი მონგოლებმა დაიპყრეს, მაშინ მთელი რუსეთის ხალხს ისეთი უღელი დაადეს, რომ ხალხი სულს ძლივს იბრუნებდა. რუსეთის ხალხმა მონგოლების ფეხქვეშ, უღელ ქვეშ ატარა გამწარებული და დამონებული ხალხის ცხოვრება მთელ ორ საუკუნეს, რომლის განმავლობაში, ხალხს სული ეხუთებოდა. მიუხედავად ამისა საკმაოა ვსთქვათ მხოლოდ ოთხი სიტყვა **„ეპოქა მონგოლთა უღლისა რუსეთში“** და მთელი ორასი წლის ხანგრძლივი მონური სიცოცხლე რუსეთის ხალხისა დაგვიხატებათ თვალ წინ. ამგვარად ერთი პსიხიური მოკლე მომენტი შეიცავს ორასი წლის ტანჯვის ისტორიას, ორასი წლის ტანჯვის საზიზღარ სურათს.

როდესაც რუსეთი დაიპყრო პეტრე დიდის დესპოტიურმა ხასიათმა, მაშინ, რუსეთს დაედვა ყოვლად გამათახსირებელი, ბილწი, პოლიტიკურად მრუში, ეკონომიურად ქურდი და მექრთამე, გონებრივად ბნელი და გამოფიტული, ზნეობრივად მახინჯი და გარყვნილი ბიუროკრატიული უღელი.

მაგრამ, დღეს დახკრა ბიუროკრატიული უღლის დამტვრევის საათი. კრონშტადში სვეაბორგში, რევალში. აღარ არის შორს ის დრო, როდესაც საკმაო იქნება კიდევ ოთხი სიტყვა, „ბიუროკრატიის უღლის ეპოქა რუსეთში“ და ეს ოთხი სიტყვა, მოკლე პსიხიური მომენტი საკმაო იქნება დაგვეხატოს თვალის-წინ მთელი ორასი წლის ტანჯვა-წვალების, გარყვნა-გათახსირების სიმშილ-სიცივის, უსინიდისოების, წარსული ბნელი ისტორიის უსირცხვილო ბიუროკრატიის შიშველი სურათი.

მას შემდეგ რაც ადამიანთა შორის ჩინა თავი უმცროს-უმფროსობამ, ხალხი გაიყო მონებათ და მონათ მფლობელებათ, მართულებათ და მართველებათ, მდიდრებათ და ღატაკებათ, იძულებით მუშებათ და ნებიერ უსაქმურებათ მაძღრებათ და მშიერებად, მას აქეთ გავიდა უხსოვარი დროება.

თუ ორასი წელი მონგოლების უღლის უღლის ტანჯვა-ვაებისა საკმაო იყო შეერთებინა რუსეთის ხალხი მონგოლთ მტარვალობის წინააღმდეგ საბრძოლველად, თუ ორასი წელიწადი „რუსეთის ბიუროკრატიის ბატონობ-სა“ საკმაო იყო შეერთებინა იგივე რუსეთის ხალხი ბიუროკრატიული უღლის დასამსხვრევად. ნუ თუ ხალხი არ უნდა აიჯანყოს უხსოვარი დროის განმავლობაში სოციალური ტანჯვის ბაღში ცხოვრებამ?!

ნუ თუ ხალხი იმოდენად ბრმაა, რომ მისთვის საკმაოთ არ ხედავს გაუთავებელ ტანჯვას?!

ნუ თუ ხალხმა უნდა ეძიოს თავის თავის ხსნა ძველი მონობის კლანჭებისაგან იმით, რომ უნდა ჩაუგდოს თავისი ტანჯული თავი ახალ უარესს მონობას.

ალი.

ახალი ამბავი

როგორც შევიტყვეთ თბილისის ქართულ კერძო გიმნაზიის გამგე კომიტეტს და პედაგოგიურს საბჭოს გადაუწყვეტია ერთის წლით შეაჩეროს სწავლა გიმნაზიაში. მასწავლებლები გარდა 4 ისა სამსახურში არ ითვლებიან და ჯამაგირსაც არ მიიღებენ.

— 30 ივლისს, გამოდის ქართულს ენაზე ახალი გაზეთი „ტალღა“. გაზეთის რედაქტორი ი. კარგარეთელია.

— 28 ივლისს, ქალაქის გამგეობაში კრება ჰქონდა ზუბალაშვილის სახალხო სახლის გამგე კომისიას. კომისიამ სახლის მოთავეების გამო დაადგინა მიიღონ სახლში მოთავსების მსურველნი 1 მარიობისთვიდან 10 მარიობისთვეს კი გაარჩიონ საბუთები ვისაც სახლში მოთავსება სურს და 15 მარიობისთვეს კი შენობა აკურთხონ.

— როგორც სოფელ იმერხევიდან გვატყობინებენ იქ მოუკლავთ 24 ივლისს, „წითელი რაზმის წევრი გიორგი წერეთელი.

— 10 აგვისტოს, მეტეხის ციხიდან იგზავნება არხანგელსკის გუბერნიაში ხუთი წლის ვადით პოლიტიკური დამნაშავენი: სოლომონ ალანაია, ლავრენტი შუშანია, გრიგოლი გაწერელია, ივანე გაწერელია, სიმონ ეგუტია, დორათე ჯაბავა. კურსისტკები: ვერა სტეფანოვა, ს. პაგდატიევა და სხვანი.

— დანიშნულია კრება მუსიკანტთა დამხმარე საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი შენობის მონახვის შესახებ და უნდა გამონახონ საშვალება თანხის გასაძლიერებლათ. ამავე კრებამ უნდა განიხილოს საკითხი თბილისში მუსიკალური სასწავლებელის გახსნის თაობაზე. მუსიკალურ სასწავლებელში უნდა იქმნენ განყოფილება, სადაც აზიურ სიმღერებს ასწავლიან.

— ბეჭვდითი საქმეთა თბილისის კომიტეტს ჩვენი გაზეთის რედაქტორის წინააღმდეგ საქმე შეუყენებია: აბრალებენ სისხლის სამართლის დებულების მე 129 მუხლის დარღვევას.

— უსაქმოთ დარჩენილმა ინტელიგენტებმა რომელნიც ეხლა ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას სწერენ და მცხოვრებთა სიებს ადგენენ გადასწყვიტეს ის 282 მ და 76 კ. რომელიც მჭედლიშვილმა მოიტაცა, გაინაწილონ ყველა მუშებმა და ისე შეამსონ თანხა.

— 28 ივლისს დაბრუნდა თბილისში მსროლელი ბატალიონი, რომელიც ბათუმში იყო გაგზავნილი არეულობის ჩასაქრობათ.

— 28 ივლისს, დაბრუნდა პეტერბურგიდან თბილისში ქუთაისის ბანკის მოურავი მელნიკოვი.

— როგორც ახალსენაკიდან გვწერენ ს. შხეთის მღვდელს ამ დღეებში თავს დასხმიან რამოდენიმე კაცი, რომელთაც მოუთხოვნიათ მღვდლისათვის ფული. უკანასკნელს მხოლოთ 3 მანეთი აღმოუჩენია, რომელიც შეუძლევია თავდამსხმელთათვის. მათ არ მიუღიათ ფული და მშვიდობიანათ წასულან.

— გუშინ ჩვენს გაზეთში, ახალ-ამბავში შეგვპარვია შეცდომა, მოხსენებული იყო რომ მოჰკლეს ედილაშვილიო, უნდა იყოს აბრამ გელდიაშვილი იგივე (ნარი).

რ უ ს ე თ ი

„XX ვეკ“-ს დეპეშით აუწყებენ, რომ ქალაქ სიმბირსკში იარმუკობის დროს, მოხდა შეტაკება დარაჯებთან. პოლიციელებს მიჰყავდათ პატიმარი. ბრბომ მოითხოვა მისი განთავისუფლება და ემუქრებოდა რომ პოლიციის ნაწილს ავიკლებთო. გამოწვეულ დარაჯებმა ჰაერში ისროლეს თოფები. ხალხმა მათ ქვები დაუშინა. ხალხი გარეკეს მათრახების ცემით. არიან ორთავ მხრივ დაჭრილნი.

—

მთვრალ მეეზოვის დაბეზღებით ღამეს გაჩხრიკე ვითომ „ფარული სტამბა“, რომელიც აღმოჩნდა პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს განყოფილების ბიურო. (XX ვეკ).

პ რ ო ვ ი ნ ც ი ა

ახალ-სენაკი. გამხეცებულ რეაქციას საზღვარი არა აქვს: მან იმსხვერპლა ძვირფასი ამხანაგი და მებრძოლი შიო ჩიტაძე; მანვე გამოასალმა წუთი-სოფელს ახალგაზრდა მეომარი და ნიჭიერი ყმაწვილი რიჟინაშვილი. მაგრამ შორს არ არის ის დიდებული დრო, როდე-

საც წარდგებიან მტარვალნი ხალხის სამსჯავროს წინაშე.

დღეს ჯალათები იცინიან, მაგრამ „хорошо смѣется тотъ, кто смѣется последнимъ“, და ჩვენ ახალგაზრდა ჯგუფს „სოციალისტ-რევოლიუციონერების“ ას სწამს, რომ ჩვენი მებრძოლი ამხანაგების მკვლელები იმას მოიმკიან, რასაც სთესენ.

აბაშ-სენაკის ჯგუფი „სოციალისტ-რევოლიუციონერებისა“.

—

სამეგრელო, (სენაკის მაზრა). დადგა თუ არა რეაქცია, აქაც, როგორც სხვაგან, ბნელმა ძალებმა თავი წამოყვეს და ძველებურად იწყეს გადატაკებული გლეხების სისხლის წუწვნა. თავად-აზნაურობამ ნადელები და ბაქები მოითხოვეს და რეაქციის წყალობით კიდეც გადაახდევინეს. ამდენ ხანს თუ ენა ჩავარდნილები დაიარებოდენ, ახლა ამაყად დაბრძანდებიან და კრებებს მართვენ. იმისთვის თუ როგორ კარგათ დაიცვან თავიანთი ინტერესები, ე. ი. კარგათ გაატყავონ მშრომელი გლეხ-კაცობა. აი მაგალითად: ს. გორდში შეიკრიბა ჩიქოვანები და ბევრი ლაყბობის შემდეგ შეჰფიცეს ერთმანეთს არ უღალატონ სანამ პირში სული ედგმევათ, ე. ი. ძალით გადაახდევინონ გლეხებს ნადელები, ტყის ბაჟი (რომლითაც ხალხის გამარჯვების დროს ყველა უსასყიდლოთ სარგებლობდა) და იყვნენ ერთგული თვითმპყრობელმთავრობის. ამას გარდა ისიც გავიგე, რომ შუამდგომლობა აღუძრავთ უმაღლეს მთავრობის წინაშე და ირალი უთხოვნიათ. ი რალის მოცემისთვის თურმე ძალიან მეცადინეობს თავადი დათა ჩიქოვანი, რომელიც განმათავისუფლებელმა მოძრაობამ სოფლიდან გააძევა.

ამ ვაჟბატონზე ქვემოდ გვიქნება ლაპარაკი. მოგეხსენებათ, რომ ყოველ ორგანიზაციას ჰყავს თავის ორგანიზატორები და აი, სწორედ ამ შავრაზმსაც ჰყავს თავისი ორგანიზატორი თავადი გიორგი ჩიქოვანი (სახუციშვილი) სოფლად და ქალაქიდან (ქუთაისიდან) დახმარებას ჰპირდება ზემოხსენებული დათა ჩიქოვანი; ვნახოთ რას გახდებიან ეს ბნელი ძალები? სანამ რეაქცია ბატონობს მათაც არა უჭირთ, მაგრამ ვაი მათ იმ დღის, როდესაც ხალხი გაიმარჯვებს და სამაგიეროს გადაუხდის თავის მტრებს.

ზემოხსენებული დათა ჩიქოვანის საზიზღარ მოღვაწეობას, რომელიც მიუძღვის სუხჩელ გლეხ-კაცობის წინაშე, აქ დაწვრილებით ვერ ვწერ, მხოლოდ ვიტყვი, რომ დიდი მავნებელი იყო მახლობელ სოფლელ გლეხებისთვის და განსაკუთრებით სუხჩელებისთვის და აი, როდესაც მოაღწია ამ მხარესაც განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, მშრომელმა გლეხ-კაცობამ შური იძია, რაც გამოიხატა დათას სახლკარის გადაწვაში. მას შემდეგ ეს ვაჟბატონი ქუთაისში ცხოვრობს და აქედანაც მოსვენებას არ აძლევს გლეხებს.

თავადი დათა სახლის დაწვას აბრალებს, განსაკუთრებით სუხჩელ გლეხებს, როდესაც მას მთელი საზოგადოების გლეხობა გადამტერებული ჰყავდა, და ჰფიქრობს ერთი-ორად აინაზღუროს თავის ზარალი.

ამას გარდა ამ ვაჟბატონმა შური იძია პირად მტერზე გლეხ დათაია ჭოლოქავაზე და აგერ სამი თვეა, მის წყალობით, სენაკის საპყრობილეში ზის და მგონი ხუთი წლით ჩრდილოეთ რუსეთშიაც ასახლებენ. დათა ჩოქოვანს კარგი განწყობილება აქვს მაზრის ადმინისტრაციასთან და როგორც მას მოესურვება ისე მოჰყავს ზოგიერი საქმეები. დათაია ჭოლოკავა დააბეზღა მთავრობასთან, როგორც დიდი პოლიტიკური დამნაშევე და ციხეში ამოაყოფინა თავი.

გეყოფა ამდენი უსინდისობა გაუმაძღარო თავადო! კმარა ამდენი ტანჯვა გლეხების! თურმე იცოდე დრონი იცვლებიან და შენს ბოროტ-მოქმედებისთვის პასუხს გაგებინებენ ის გლეხები, რომელსაც შენ ასე უსინდისოდ ტანჯავ.

ორიოდე სიტყვით აქაურ მოძრაობასაც უნდა შევეხო.

სამეგრელოში ჩამორჩენილ კუთხეთ უნდა ჩაითვალოს ნაგვაზუს და კინჩკის საზოგადოება, განსაკუთრებით კინჩის რადგან ამ მხარეში არ არის მტკიცე ორგანიზაციები, რომლებიც უნდა ებრძოდენ, როგორც მთავრობას ისე ადგილობრივ ღურბელებს და ჯაშუშებს. ამ მხარეში მუშაობდენ სოც-დემოკრატები, თუმცა ძალიან არა მაგრამ მაინც მათ ეკუთვნით ეს მხარე რადგან სხვა პარტიების პროპაგანდისტები სრულებით არ ყოფილან აქეთკენ. სოც-დემოკრატების მუშაობა, ს. სუხჩეს, ბომბუს, ხიდზე, ნოღს, კინჩხას, ლეუდოსა და სხვა აქეთკენ მდებარე სოფლებში. იმაში გამოიხატა, რომ მოვიდოდენ, ორიოდე სიტყვას იტყოდენ. და აყენებდენ ათის და ასის თავებს, რომლებსაც დაავალებდენ გლეხებისგან ფულების მობოქვას და გაუდგებოდენ გზას. ეს იყო მთელი მათი მოღვაწეობა ზემო აწერილ სოფლებში. ეხლა უნდა იკითხოთ რამდენი მწუხარება დაატყდა თავს აქაურ გლეხებს.

მთავრობის და ბატონის გადასახადებს ვერ აუდიოდა და ახლა სოც-დემოკრატების გადასახადებმა ხომ სული ამოართვა.

სოც-დემოკ. მხოლოდ ფულებს ბოჭავდნენ და მოსამართლეობდენ, თორემ სხვა არაფერზე არ ზრუნავდენ: არც იარაღებზედ, არც ჯაშუშების ალაგმვაზე და არც სხვა ამგვარ საქმეებზე. ს. სუხჩეს, სხვა ჯაშუშებთან ერთად ძალიან საქმეს უჭირებს ბებერი ნიკოია ჭოლოკავა რომელიც ვერ ალაგმეს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, მაგრამ რა ორგანიზაციებმა უნდა ალაგმოს, როდესაც არაფერი ორგანიზაციები არ არსებობს? თუმცა ათის თავიც, ასის თავიც არის და ფულებსაც ხდიან.

ამიტომ მივმართავ ხონის და ნაოლალევის სოც.-ფედერალისტების და სოც.-რევოლიუციონერების ორგანიზაციებს და ურჩევ შემოვიდენ ამ მხარეში, დაანახვონ თუ ვინ არის გლეხების ინტერესების ნამდვილი დამცველნი, მოსპონ ახალი გადასახადები, ალაგმონ ჯაშუშები და

ფელეტონი

—

საზოგადოების განვითარება.

კითხვა, თუ როგორ განვითარდა საზოგადოება ძველადვე აინტერესებდა მეცნიერებს. საბერძნეთის ფილოსოფოსი ეპიკური და რომაელი ლუკრეცი ამტკიცებდნენ, რომ საზოგადოება შეგნებული ნება ყოფლობით წარმოსდგა. წინედ არსებობდა „ბუნებრივი მდგომარეობა“ ამბობს ლუკრეცი, ადამიანები სცხოვრობდნენ განაწილებულნი უკანონოდ ზნე-ჩვეულებას მოკლებულნი, ამნაირი მდგომარეობა იწვევდა მათ ინტერესების შეხლას; ბოლოს ადამიანები მიხვდნენ ამგვარი მდგომარეობის უსარგებლობას და მოინდომეს ამის მოსპობა. მათ მოიყარეს თავი, გადასწყვიტეს უარი განეცხადებინათ ომზედ და ბრძოლა, ერთმანეთთან შეეცვალათ თანასაზოგადოობით: ეს იყო „საზოგადოებრივი შეპირება.“ (общественный договоръ.) დასდვეს რა ეს პირობანი, ყველა სთვლიდა თავის მოვალეობად შეეწირა კერძო პირადი თავისუფლება საზოგადო საქმისათვის, რომ ამით მისცემოდათ საშუალება თანასწორად ესარგებლნათ საერთო ძალით ბუნებასთან ბრძოლაში. ამ საზოგადო უფლება-პირობათა განსახორციელებლად დაადგინეს კანონები და მთავრობა. ეს უძველესი თეორია ხელ ახლად იყო წამოყენებული ცხოვრებაში მეთექვსმეტე საუკუნის დამლევში გუპერტ ლანგეს მიერ. ეს ფილოსოფოსი თავის თხზულებაში „Vendiciae con tra turanos“ ამტკიცებდა, რომ საზოგადოება დაფუძნებულია საერთო შეთანხმებ ზედ ღმერთისა, ხალხის და ხ ლმწიფეთა შორისო, რომელნიც (უკანასკნელნი) მუდმივ არღვევენ ამ შეთანხმებასაო. ჰობსი, (1588-1679 წ.) რომელმაც უკიდურეს საზღვრებამდე განავითარა სენსუალისტური მიმდინარეობა ფილოსოფიაში, ამბობდა ადამიანი ადამიანისათვის მგელიაო, Homo homini lurir, ადამიანთა შორის მუდმივ გაცხარებული ბრძოლააო, იმარჯვებს ყოველთვის უძლიერესი, და ამნაირი გამარჯვება ბუნებრივია, ლოღიკური და სამართლიანიო. მაშასადამე, ნამდვილი ბუნებრივი უფლება, საფუძველი ყველა უფლებისა, არის ძალმომრეობა. პირველყოფილმა ადამიანებმა იგრძნეს თუ რა უსარგებლოა „ბუნებრივი მდგომარეობის“ გაგრძელება და შეადგინეს საზოგადოებაო. შემდეგ საფრანგეთის ფილოსოფოსმა ჟან-ჟაკ რუსსომ განავითარა შეხედულებანი „საზოგადო შეპირებაზედ“ და დაგვიხატა სურათი იდეალურ საზოგადოებისა, დამყარებულის საერთო შეთანხმებაზედ და პიროვნების სრულ დამოუკიდებლობაზედ. ამ მოძღვრებას საზოგადო შეთანხმებაზედ დიდი გავლენა ჰქონდა აზროვნების ისტორიაში, მან გამოიკვლია თუ როგორი უნდა იყვნენ მორალური პირობანი, რომ საზოგადოებამ ნამდვილად აასრულოს თავისი დანიშნულება თავისუფლობა პიროდობისა საერთო ბრძოლა ბუნებასთან ყველა ადამიანის საკეთილოდღეოთ და ურთიერთათ დახმარებისთვის მან გაუკაფა გზა ეხლანდელ მეცნიერებას, მართალია თვითონ კი, როგორც აშენებულმა არამეცნიერულ ნიადაგზედ მალე დაჰკარგა ადგილი თანამედროვე სოციოლოგიაში. ვიდრე კაცში განვითარდებოდა ზნეობრივი გრძნობა (нравственное начало) რომელმაც ზემოთმოხსენებული ფილოსოფოსების სიტყვით, შეაერთა მუხამ ერთმანეთზედ ხმალ-ამოღებულნი ადამიანნი, არსებობდნენ ბუნებრივი კანონები ე. ი. ის კანონები რომელთაც აუცილებლად ექვემდებარებიან ყველა არსნი ამ კანონების გამოკვლევა შეადგენს მიზანს ეხლანდელი მეცნიერებისას. ის, რომ პირველი საზოგადოება დაიბადა საერთო შეთანხმებიდან არ არის დასაჯერი. პირველყოფილი ადამიანი ვერ შეიგნებდა საზოგადო შეპირების სარგებლობას და თუ ის აზრი დაებადა რამდენიმე პირებს, როგორ უნდა შეეგნებინებიათ თავიანთ მგავსავთათვის სარგებლობა საზოგადოებათა შეერთებისა, რადგანაც ცალკე მცხოვრებნი, განყენებულნი არსებანი მოკლებულნი იქმნებოდნენ „ენას“, რის შემწეობითაც ერთი ერთმანეთისთვის შეეძლოთ გაეზიარებინათ თავიანთი აზრი.

ის მოსაზრება, რომ ყველა პირველყოფილ ადამიანებს ერთად და იმავე დროს მოუვიდათ აზრი უარი განეცხადებინათ ბრძოლაზედ, სრულიად არ არის დასაჯერებელი. ნუ თუ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ერთხელ ხალხი შეიკრიბა ყველა მხრიდგან, უცბად ადამიანებმა დაიწყეს ლაპარაკი და დაადგინეს: ჩვენ

...ასონ თავისი მოქმედნი ორგა-
...ბლიები.

დ. ჩიქო—ბანი.

უცხოეთი.

საფრანგეთი.

ერთი თვის წინად, როდესაც პა-
...ამენტალური ჯგუფი სოციალის-
...ტებისა, დღესასწაულობდა „ბრწყინ-
...ლე ბანკეტით" არჩევნებში გამარჯ-
...ებას, სხვათა შორის მოწვეულ იყო
...ინფული. გრიფული ერთი მთავარ
...ოალდთაგანია მუშათა სინდიკალურ
...ძრაობისა, რომელიც საოცარი
...ამეჯით იდგამს ფეხს საფრანგეთში
... მოსვენებას არ აძლევს მთავრო-
...ბას კი არა მარტო, არამედ სოცია-
...ლისტურ პარტიებსაც კი.

სინდიკალისტები გულ-ცივად და
...ზიით უცქერიან პოლიტიკას და
...ალამენტს იმათი მთავარ მიზანია,
...რომ მუშები მოაწყონ პროფესიო-
...ალურ ჯგუფებად და იმათი საშუა-
...ლებით, შეერთებული ერთად, ერთ-
...ერის ტაქტიკით, იბრძოლონ კა-
...პიტალისტური წყობილების დასან-
...გრევად. სინდიკალისტებს აქვთ ორი
...საშუალება ბრძოლისა: პირველი,
...საერთო გაფიცვა, ეგრე წოდებული
„action directe", ესე იგი მიზნის
...მისაღწევად ცენტრალისტურ მთავ-
...რობის ძალდატანებაზედ კი არა, არა-
...და პირდაპირი მოქმედებით. ეკო-
...ნომიურის მხრით, უფრო კომუნის-
...ტები არიან (კოლექტივიზმი მათვის
...ალიერ საშიშროებას წარმოა-
...ფენს, რადგანაც იგი არსებო-
...ბით ცენრალისტურია). პოლიტი-
...კაში კი არიან ბაკუნინის მემკვიდ-
...რენი. ტემპერამენტით კი სულ
ყველანი არიან ნამდვილი რე-
ვოლიუციონერები. მაგრამ რევო-
ლიუციონერები, თუ კი ესე შეიძლე-
ბა გამოთქმა, პოლიტიკური კი არა,
არამედ სოციალური. „პროლეტა-
რიატის დიკტატურა" მათ წარმო-
დგენილი აქვთ რაღაც ილიუზიად,
და ისინი მისდევენ ფედერატიულ
იდეიას, რომ საზოგადოება მოწეს-
რიგდეს ქვევიდამ ზევით და არა
ზევიდამ ქვევით. მე არ გავარჩევ ამ
ახალ ფორმას მუშათა მოძრაობი-
სას, არ გავარჩევ, თუ რამდენად
თეორიულად და რეალურად შემუ-
შავებულია. საკმარისია მარტო მხო-
ლოდ იმას მივაქციოთ მთავარ ყუ-
რადღება, რომ სინდიკალიზმი საფ-
რანგეთში, დიდ მნიშვნელობას
წარმოადგენს სოციალურ ცხოვრე-
ბაში. მთავრობა მას დიდ მნიშ-
ვნელობას აძლევს; მტკიცდება იმი-
თი, რომ მთავრობა დიდ ზომებს
ხმარობს მათ წინააღმდეგ. მაგალი-
თად პირველ მაისს, დაპატიმრებულ
იქმნენ მთავარ-წინამძღოლნი სინდი-
კალიზმისა,—და კლემანსოს მიერ
წარმოთქმულ სიტყვამ ახალ ლეგი-
სლატურის გახსნის წინ.

მეორე მხრით სინდიკალიზმი
მოსვენებას არ აძლევს სოციალის-
ტურ პარტიებს, რადგანაც მათ თან-
დათან, მუშათა რიცხვი ემატება.
ოცდ ხუთი წლის გასვლის შემდეგ,
როგორც იქმნა, პარლამენტალურ
სოციალისტებმა უკუ აგდეს თავი-
ანთ შორის უთანხმოება და შეერ-
თდნენ ერთად; მაგრამ ამასთან ერ-
თად, უფრო გაძლიერდა ფართო
ორგანიზაციები სინდიკალისტებისა,
რომ [illegible] აშკარა მტერია მათი.

სინ[illegible]ალიზმში გამართული ბან-
კეტი, პარლამენტალურ სოციალის-
ტებმა ჩასთვალეს კარგ შემთხვევათ,
რომ როგორმე სინდიკალისტებთან
დაახლოვებულიყვნენ. ამის გული-
სათვის მოწვეულ იქმნა გრიფული.

გრიფულმა „la voix du puple"-ში
(სინდიკალისტების ორგანოა) მოა-
თავსა მოწინავე წერილი, რომელიც
იმათ აზრს, მხოლოდ ფანტაზიათა
სთვლის.

შეურიგებელი გრიფული სწერს:
„რომ, ჩვენ ეხლა ფიანდაზად გვეშ-
ლებიან, მაგრამ სინდიკალისტები
ვედარ მოსტყუვდებიან, ისინი ძა-
ლიან გამოცდილნი არიან და პო-
ლიტიკურ პარტიებთან არა სურთ
რაიმე დამოკიდებულება იქონიონ.
მე ვფიქრობ რომ ორგანიული
დაახლოვება საჭირო არ არის დღეს
ისევე. როგორც ეს საჭირო არ
იყო გუშინ. პარტიას ძალიან
სურს ჩვენთან დაახლოვება მა-
გრამ წინანდელ ჩვენ მოქმედებას,
ძალიან მტრულად უცქერიდნენ,
მათი წინამძღოლები, გვდევნიდ-
ნენ ჩვენ ისევე როგორც გვდევნიდნენ
მთავრობის აგენტები. აი ამიტომაც
არა ვთვლი შესაძლებლად მათთან
დაახლოვებას".

ეს საქმე იყო ერთი თვის წინად.
ეხლა კი ყოვლად შეუძლებელია
მათი დაახლოვება.

ბევრს ადგილას პოლიტიკურ წრე-
ებში ლაპარაკობდენ, რომ ვითომც
მთავარ ბელადნი სინდიკალიზმისა
გადადიან ჟორესის გაზეთ „Humanité"-შიო. ამ ხმებმა ძალიან და-
მაინტერესა, და მე წავედი „La Voix du Peuple" რედაქციაში,
რომ შემემოწმებინა ეგ ხმები.

მე ავუხსენი თუ რისთვის მივედი
რედაქციაში და იმათ სრულებით
არ გაუკვირდათ ეგ ამბავი, პირიქით
დაამტკიცეს, ეს ფაქტი.

იქ დამხვდნენ პუეე და დელსალი
ორივენი ძალიან დიდს როლს თა-
მაშობენ მუშათა შორის და მუდმი-
ვი თანამშრომლები არიან "La Voix
du Peuple" გაზეთისა.

რა პირობით მოხდა შეთანხმება?
—ვკითხე მე.

ჩვენ განკარგულებაში გვაძლევენ
რამდენიმე სვეტს „Humanté"-ს,
და სრულს თავისუფლებას გვიტოვე-
ბენ. პირველი სტატია გამოვა ჩვე-
ნის ხელმოწერით და იმაში ახსნილი
იქმნება თუ რა პირობები დავთანხმ-
დით ჩვენ იმათ გაზეთში მონაწილე-
ობაზე, და მერე კი მუდმივი თანა-
მშრომლები შევიქნებით იმ გაზეთში.

მაგრამ, კიდევ წინანდელისავით
უპატივცემოთ მოვეპყრობით პარლა-
მენტალურ სოციალისტებს?

რასაკურველია! ჩვენ ხომ იმათ
კარები არ დაუბრახუნეთ, არამედ
მათ ჩვენი. ჯერ საქმე მოჩარხული
არ არის. ჩვენ მხოლოდ საპროპა-
განდოთ მივდივართ იქ, რომ გავა-
ვრცელოთ ჩვენი იდეები. ეგ კაფე-
დრაა, საიდამაც მთელ მხარეში გა-
ისმება ჩვენი ხმები. ჩვენ მოწვევას
ვსთვლით, გამარჯვებად, რომ ჟო-
რესი, გედი, ლაფარგი და კომპანია,
ჰანტრაკულ მდგომარეობაში ჩაცვი-
ვდებიან, ჩვენ მაგასთან საქმე არა
გვაქვს.

დაახლოვებით გავიგე, რაც მე მეინ-

...ანაგრულნი ვართ მხეცური მდგო-
...ბარეობაში, შევვრთდეთ, დაუთმოთ
...ერთმანეთს ნაწილი პირადი დამო-
...კიდებულობისა რომ ერთეულმა
...ძალამ გაადვილოს და გაუმჯობესოს
...ჩვენი ცხოვრებაო. ამგვარ მოქ-
...მედებისთვის საჭირო იყვნენ გან-
...კერძოებული ზნოებრივი თვისება-
...ნი რომელნიც ძალიან მაღლა სდგა-
...ნან იმ ზნეობაზედ, როგორიც
...იყო იგი პირველყოფილ ადამიანი-
...სა.. ეს თეორია უცქერის პირველ
...ყოფილ ადამიანებს, როგორც მხე-
...ცებს, რომელთათვის ერთმანეთის
...ჭამა. ერთი ინდივიდის მიერ მეო-
...რის განადგურება, ომი ერთისა ყვე-
...ლას წინააღმდეგ და ყველასი თვი-
...თეულის წინააღმდეგ — (Bellum omnium contocu omnes) ბუნების
...კანონი იყო, ამნაირი არსებობა
...კი ყოვლად მოუფიქრებელია.

პირველყოფილ ადამიანთა ცხო-
...ერების წარმოდგენისათვის ჩვენ გვაქვს
...სამი წყარო. ჩვენ შეგვიძლია გავე-
...ცნოთ თანამედროვე ველურ ხალ-
...ხების ცხოვრებას, რომელნიც, რო-
...გორც ჩამორჩენილნი კულტურულ-
...ად, თავიანთი ცდგომარეობით ახლო
...სდგანან პირველყოფილ ადამიანებ-
...თან. ისტორიის პალეონტოლოგიის
და პრეისტორიული არქეოლოგიის
შემწეობით ჩვენ შეგვიძლია გამოვი-
კვლიოთ კაცობრიობის ცხოვრება
პალეოლიტიკურ კულტურამდე და
ამგვარად გავითვალისწინოდ პრეი-
სტორიული საფეხურები ადამიანის
განვითარებისა. და ბოლოს თუ
მხედველობაში მივიღებთ დარვინის
სახეების წარმოშობის თეორიას ზო-
გიერთა ცხოველთა ცხოვრებაში,
განსაკუთრებით კი ადამიანის მნა-
გვარ მაიმუნებისა ბევრ სასარგებლო
მაგალითებს ვიპოვით პირველ-
ყოფილ ადამიანთა ორგანიზაციის
ასახსნელად. ამგვარად მივმართოდ
ეტნოგრაფიას, არქეოლოგიას და
ზოოლოგიას.

მიელ დედა-მიწის ზურგზედ არ
არსებობენ ადამიანნი, რომელნიც
ცალ-ცალკე განკერძოებულად
ცხოვრობდნენ. უუკიდურესი ვე-
ლური თემები ადამიანების და ნი-
კობარის კუნძულებისა ცხოვრობენ
დაუფილნი პატარა ჯგუფებად
20—50 კაცამდე; ყველგან, სადაც კი
შესაძლებელია ადამიანის არსებობა
იქ არსებობს საზოგადოება. მიწაში
დარჩენილნი ნაშთები პირველყო-
ფილ კულტურისა გვიმტკიცებენ
იმას, რომ ადამიანნი ყოველთვის
საზოგადოებას წარმოადგენდნენ და
უძველესი დროიდან გამოქვაბულებს
ხმარობდნენ თავშესაფარად არა
ცალკე ინდივიდები, არამედ ადამი-
ანთა ჯგუფები. მეორე კიდევ,
ყველამ კარგათ იცის, რომ ადამი-
ანის მინაგვარი მაიმუნები — უუძვე-
ლესი წინაპარნი ადამიანთა გვარისა,
სცხოვრობენ საზოგადოებებათ და
არა ცალ-ცალკე. ყველა თვითეული
თავისაათვის. ყველა ეს ფაქტები ამ-
ტკიცებენ, რომ ადამიანი — წარმო-
შობილია ცხოველთა ევოლიუციისა-
გან, მოევლინა ქვეყანას, როგორც
სოციალური არსი. მან მიიღო „სა-
ზოგადოებრივი ფორმა", რომელიც
უანდერძეს მას ცხოველებმა. რასა-
კვირველია, პირველ ადამიანთ ბუნ-
დოვანათ ესმოდათ სარგებლობა ამ-
გვარი სიახლოვისა, მაგრამ ბუნების
გავლენა და მემკვიდრეობა სრულიად
საკმაოდ ხსნიან მათ საქციელს და
აქ ადგილი არა აქვს აქტს თავისუ-
ფალი შეთანხმებისს. **აქ ბუნებრივი
იძულებაა, პირველყოფილი და
აუცილებელი.** ადამიანისთვის საჭი-
რო არ იყო შეგროვებულიყვნენ
საზოგადოებათ: ისინი იბადებოდნენ
ამ მდგომარეობაში, დარჩებოდნენ
მასში.

ამგვარად, მეცნიერები, რომელ-
ნიც საზოგადოებას საძირკველ-
ში უდებდნენ თავისუფალ შე-
თანხმებას, სცდებოდნენ. ბუნება
მრავალ-ფეროვანი და რთულია,
არ შეიძლება რომ მის რომე-
ლიმე ნაწილს სხვა ნაწილებთან
განწყობილება არა ჰქონდეს. ეს,
რასაკვირველია, არის ჭეშმარი-
ტება ყოველის არსისათვის. ერთს
ინდივიდს მარტო მეორე ინდივიდ-
თან როდი აქვს განწყობილება,
არამედ მას გარს ახვევია ათას-
ნაირი ძალები და საგნები. არსებო-
ბისათვის ბრძოლამ აიძულა ცხოვე-
ლები შესწყობოდნენ ბუნებრივ პი-
რობებს, (естественный подборъ)
შეერთებულიყვნენ საზოგადოებათ
და ებრძოლათ ბუნების განმანადგუ-
რებელ პირობებთა წინააღმდეგ და
ადამიანიც დაემორჩილა ევოლიუ-
ციის კანონებს, მან უფრო კარგათ
გამოიყენა შეერთებული ბრძოლა
ბუნებასთან და გააფართოვა ცნება
საზოგადოებისა. საზოგადოების გან-
ვითარებაში თავისუფალ შეთანხმე-
ბას ჰქონდა რასაკვირველია მნიშ-
ვნელობა, მაგრამ შემდეგ და მაში-
ნაც ეს შეპირებები ჰხდებოდა არა
ცალკე ინდივიდთა შორის, არამედ

ტერესებოდა და დავიწყეთ დღევანდელ პირ-ვარამზედ, ბაასი იმათ მეკით ხებოდნენ რუსეთის ამბებს, ჩემთვის კი ძალიან საინტერესო იყო მათთან ბაასი, იმ ენერგიულ, რკინის ხსიათის კაცებთან, რომელნიც შეიძლება დღეს თუ არა, ხვალ, დაიჭირონ საფრანგეთში დიდი საპატიო ადგილი.

მაშასადამე თქვენ აღძარით ძველი კამათი ბაკუნინისა მარქსთან? და ამჩნევთ, რომ ბაკუნინი მართალია?

რასაკვირველია რომ მართალია? ჩვენ პირდაპირ გვძულს, გვეზიზღება ის პოლიტიკანიზმი, რომ დაიპყრონ პოლიტიკური უფლებები, ეგ ილლუზიაა იმ სოციალისტებისათვის რომელთაც სჯერათ სახელმწიფო, როგორც Etât-Providence.“ თავდაპირველად ჩვენ გვსურს თავისუფლება, მაგრამ ჟორესა და გედი ჩვენის აზრით ისეთივე ძალდატანებელნი არიან, როგორიც არიან კლემანსო და მისი კომპანია. ყველა კანონები, რომელიც გამოცემული არიან ზევიდგან, ცარიელი ბრახა-ბრუხია, თუ არ არიან დაპყრობილნი ქვევიდგან. ჩვენი სოციალისტები ჩაიგდებენ თუ არა მართველობას ხელში იმათ მშვიდობიანად გასცემენ დიქტატორულ ბრძანებებს, რომელნიც დაყრნდობილ იქნებიან ჯარზედ. ჩვენ არ გვინდა არაფერი პოლიტიკური უფლებები. მთელი საზოგადოებრივი როლი უნდა დაყრდნდობილ იქმნას მხოლოდ ეკონომიურ კითხვებში ჩვენ გვინდა ისე მოვაწყოთ საქმე სინდიკატებით, რომ იმათ თავიანთი რეალური ძალით შეერთებულ[...] თად, მოახდინონ ეკონომიურ[...] რევოლიუცია ინდივიდუმი (პიროვნება), სოლიდარობის გულისათვის უნდა დაემორჩილოს ეკონომიურს წყობილებას და ეს უნდა ჩაიდინოს ნებაყოფლობით, სხვა დანარჩენში უნდა დარჩეს თავისუფალი. ჩვენ ვიცით რა გავლენა აქვს წრეს პიროვნებაზე, და ჩვენი მიზანია, შევქმნათ ისეთი წრე, რომელშიაც პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი; ჩვენ არა გვსურს დავუმორჩილოთ რომელიმე გარეგნულ მთავრობას და ამიტომაც ვიბრძვით ჩვენ იმ სოციალისტების წინაალმდეგ, რომელნიც სახელმწიფოებრივობის მოტრფიალენი არიან ..

ერთი მითხარით, ლკასთა ბრძოლა—ხომ სოციალისტურია, მაგრამ გამაგებინეთ რას უშვრებით თქვენ ინდივიდუალიზმს?

ადამიანი, საზოგადოებრივი არსება. ჩვენი შეხედულება რასაკვირველია, რომ ადამიანი არის პიროვნება. მაგრამ ჩვენ ხომ ვცხოვრობთ რეალურ პირობებში. ეხლანდელი მუშები ის ხალხი არ არის, რომელსაც ჩვენ ვფიქრობთ, მაგრამ როგორც კლასსი, ისინი ძვირფასი იარაღია იმისთვის, რომ ძველი დახავსული წყობილება დავანგრიოთ. პიროვნებას მიეცით გზა ფართო, რომ თავისუფლად შეჰქმნან კულტურა, რომელსაც კაცობრიობა მიესწრაფება. ამას შეჰქმნის მომავალი თაობა და არა ჩვენ... წინად ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვაძლევდით ერთ ხასიეთის პატრონთ (affinites) რომ ერთ ჯგუფში მოგვეთავსებინა, მაგრამ ეხლა ჩვენ გავიგეთ, რომ ეს საქმე შორეულ მომავლისაა. ეხლანდელ წყობილებაში კი უნდა შევაერთოდ ხალხი მატერიალურ ნიადაგის ინტერესებზედ და აი ამნაირი შედგენილს ორგანიზაციებს აქვთ რეალური ძალა და შეუძლიანთ დაანგრიონ ეხლანდელი წყობილება და იხსნას კაცობრიობის უმეტესი ნაწილი მონობიდგან... მაგრამ თავი გავანებოდ მეტაფიზიკას.

მე ვშობილვარ ბრძოლისთვის, და მიყვარს. ცხოვრება... და ჩვენ ეხლა საფრანგეთის ახალ სოციალისტურ პარტის ევოლიუციაში ვცხოვრობთ.

ყოვლად ძლიერნი „მემარცხენენი“ პარლამენტში აღარ არსებობენ. კომბის დროს, როდესაც რადიკალურ მთავრობას არა მოეპოვებოდა გადაწყვეტილ უმეტესობა, სოციალისტები თამაშობდნენ წმინდა პოლიტიკურ როლს. ეხლა კი იგინი ოპოზიციაში იმყოფებიან, მაგრამ რაღაცა უნცნაურობითი როდესაც მთლად პალატა გადაიხარა მარცხნივ, უფრო გახდა კონსერვატიული და „temps“ დიდის სიამოვნებით იღიმება ამაზედ.

რადგანაც სოციალისტებმა დაჰკარგეს ყოველი პოლიტიკური მნიშვნელობა პალატაში, ამის გამოისობით გადაიხარნენ მარცხნივ და ეძებენ ზურგის გამაგრებას მუშათა მასსაში. მაგრამ ყველაზედ საფუძვლიანი არის სინდიკალიზმი. იგი უფრო მემარცხენეა პარლამენტალურ სოციალისტებზედ, და აქვს აგრეთვე კავშირი ანარქიზმთან, თუ შეიძლება ამის გამოთქმა, იგი არის მარჯვენა ფრთა ანარქიზმისა. სინდიკალისტების მთავარ ორგანო „Le mouveent socialiste“. (რავენსტვო).

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენ.).

—

ვარშავა. ჟანდარმებმა დაატუსაღეს 60 გაფიცული მუშა. პეტერბურგის რკინის გზისა. სხვები ვერ იპოვნეს. გაფიცულთ მაგიერ მუშაობენ 100 ჯარის კაცი.

სარატოვი. მაზრაში ძლიერდება ცეცხლის წაკიდება აგრარულ ნიადაგზე.

პეტერბურგი. გაზეთები იუწყებიან, რომ გამოირკვა მსროლელი ადმირალ დუბასოვისა. ყოფილა მიშჩენკო-ვოინოროვიჩი, რომელიც ეკუთვნის მფრინავ რაზმს რევოლიუციონერთა პარტიისას.

კიევი. დააპატიმრეს აფერისტი სტარჩევი, რომელიც თავის თავს აღიარებდა ბირჟის კომისიონერად.

ხარკოვი. გაფიცვა ხარკოვში ვერ მოხერხდა.

კოვნა. ბოროტ-მომქმედნი შეიჭრენ ბრეგოვსკის სტამბაში, რომელთაც ძალა დაატანეს რომ აეწყოთ ვიბორგის მოწოდება ბ დაებეჭდათ. ერთი იმათაგანი დაპატიმრებულია. მის ბინაზედ იპოვეს გექტოგრაფი, პროკლიმაციები, წითელი და შავი დროშები და არა-ლეგალური ლიტერატურა.

ვარშავა. აგრარული მოძრაობა, რომელიც გამოიწვიეს აგიტატორებმა წყნარდება.

ჩერკასსი. სოფელ დახნოვირში შეიარაღებულ ბოროტ მომქმედებმა გაძარცვეს რეზნიკოვის ბინა. გაიტაცეს ფული და ვეჯი. ხუთ ბოროტ-მომქმედთაგან სამი შეიპყრეს. რეზნიკოვი დაჭრილია.

კრემენჩუგი. დაიწო ზაფხულის თეატრი. ცეცხლში დაიწო ბავში.

ბახმუტი. გაფიცვა ნახშირის მაღაროებში, იუზოვის რაიონში შესწყდა. მუშათა მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს

ტაშკენტი. ვაგზლიდან მომავალი მოძრაობის რევიზორი, შუა აზიის რკინის გზისა ჩერნოვი მოჰკლეს.

ეკატერინოსლავი. დააპატიმრეს რაჩკოვსკი და გონჩარენკო, ბრბოს მომწყობნი, რომელნიც სცარცვავდნენ ანარქისტების სახელით

ბელოსტოკი აწიოკების დროს ქალაქს 46 ადგილას გაუჩნდა ცეცხლი.

ეკატერინოსლავი. ყუმბარის სროლის დროს, ბრიანის ქარხნის ახლო, არავინ არ დაშავებულა.

ბახმუტი. ალექსეევის მაღაროებში მოხდა შეტაკება მუშებთა შორის. არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

პეტერბურგი. ინიშნებიან: ფილოსოფოვი—სავაჭრო-სამრეწველო მინისტრად, თავადი ვასილჩიკოვი, მიწად-მოქმედების მთავარ მართველად და საერო განათლების მინისტრის ამხანაგი იზვოლსკი, ობერპროკურორად უწმინდესი სინოდისა.

რედაქტორ გამომცემელი

მიხეილ დიასამიძე

განცხადებანი.

ვუმეორებთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში, რომ დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნონ ანგარიში წინანდელი ნომრებისა და დროზე მოგვაშველონ მისი ხვედრი ფული, წინამდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევწყვიტოთ თქვენთან გაზეთის გზავნა.

უკვე ჩამოძინებულ ჯგუფთა შორის. თუ ეხლაც ჩვენ დროში არიან გამოჩენილნი პირნი, რომელნიც „საზოგადო შეპირებაში“ ჰპოულობენ სიმართლის ნაწილს, ეს იმითი აიხსნება, რომ ისინი იკვლევენ არა იმას, რაც მოხდა დასაწყისში, არამედ იმას, რაც უნდა მომხდარიყო და რაც დღითი დღე ხორციელდება ცხოვრებაში. ეს მეცნიერნი გვიხატავენ ჩვენ იდეალურ საზოგადოების სურათს. მართლაც რას უნდა წარმოადგენდეს ადამიანთა საზოგადოება, რომ მან მართლად აასრულოს თავისი დანიშნულება, როდესაც ბუნებამ აიძულა ჯერ დაბალნი ცხოველნი და მერმე ადამიანთ შეექმნათ საზოგადოება? საზოგადოების მიზანი ანდივიდთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა და ამისათვის საჭიროა, რომ საზოგადოება მიაგავდეს კერძო ამხანაგობას, რომელშიაც ყველა წევრმა უნდა ნამდვილად აასრულოს დადებულნი პირობანი, ერთი მეორეს უნდა ეპყრობოდეს არა ისე, როგორც თავის მოსისხლე მტერს, კონკურენტს და მოქიშპეს, არამედ როგორც ამხანაგს, თანასწორ საზოგადოების თანაწევრს, რომელსაც სრული უფლება აქვს კმაყოფილ ცხოვრებაზე, საზოგადოებას საძირკვლად უნდა ედოს არა პრინციპი: „დასჩაგრე ყველა, და სხვის ტანჯვა ვაებაზედ აიშენე შენი კეთილ-დღეობაო“, არამედ პრინციპი სოლიდარობისა და ურთიერთთა დახმარებისა. ამნაირი იდეალი დღითი დღე უფრო მეტ მიმდევრებს ჰპოულობს და ჟამი მისი განხორციელებისა ახლოვდება; თანამედროვე ინდივიდუალურ საზოგადოებაში ფართოთ ვრცელდება ის აზრი, რომ კაცობრიობის საზოგადოებამ გადაუხვია თავის დანიშნულებას, და საჭიროა მისი გარდაქმნა და დაბრუნება მისთვის მისივე ნორმალურ ფუნქციებისა. როდესაც საზოგადოება იქმნება არა მოწესრიგებული დაჩაგვრა სუსტთა, არამედ ორგანიზაცია თანასწორ უფლებებით და მოვალეობებით მოსილ ინდივიდთა.

ჩარლზ მურჩისონ.

(შემდეგი იქნება).